ინდიკატორების პასპორტი

<table>
<tr><td>ინდიკატორის დასახელება</td><td colspan="5">ქვეყანაში სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების დონე</td></tr>
<tr><td rowspan="2">ინდიკატორის ტიპი</td><td colspan="2">გავლენის</td><td colspan="3">ამოცანის შედეგის</td></tr>
<tr><td colspan="2">+</td><td colspan="3"></td></tr>
<tr><td>ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან</td><td colspan="5">მიზანი 1: სახელმწიფო ენის სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა</td></tr>
<tr><td>ინდიკატორის აღწერა</td><td colspan="5">ინდიკატორი ზომავს ქვეყანაში ქართული ენის ფუნქციონირების დონის საშუალო მაჩვენებელს ენობრივ პოლიტიკაზე გავლენის მომხდენი სფეროს მდგომარეობის შეფასებაზე დაყრდნობით.</td></tr>
<tr><td>დადასტურების წყარო</td><td colspan="5">სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის შეფასებითი დოკუმენტი</td></tr>
<tr><td>მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება</td><td colspan="5">სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი</td></tr>
<tr><td>მონაცემების შეგროვების სიხშირე</td><td colspan="5">ოთხ წელში ერთხელ</td></tr>
<tr><td>მეთოდოლოგია</td><td colspan="5">ინდიკატორი გამოითვლება სტრატეგიის სამთავრობო უწყებათაშორისი საბჭოს მიერ დამტკიცებული შეფასებითი ინსტრუმენტის მეშვეობით, რომლის შედგენაშიც მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის წევრები, სამეცნიერო, საგანმანათლებლო სექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები და ყველა დაინტერესებული მხარე, რომლის კომპეტენციაც მოიცავს ენობრივი პოლიტიკის რომელიმე მიმართულებას. შეფასებითი დოკუმენტი არის ინოვაციური ინსტრუმენტი ენის ფუნქციონირების დონის განსაზღვრისათვის.

ინსტრუმენტისათვის განისაზღვრება რამდენიმე კრიტერიუმი შექმნაში მონაწილე ექსპერტთა საერთო გადაწყვეტილებით. კრიტერიუმები დაკავშირებულია ენის ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროსთან, სწორედ ამ სფეროებს მიენიჭება შესაბამისი კოეფიციენტი იმის მიხედვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ კონკრეტულ სფეროში ენის ფუნქციონირების ხარისხი ენის ფუნქციონირების ზოგადი დონის განსაზღვრისათვის. სხვადასხვა სფეროს შეფასების ნედლი ქულა სფეროს კოეფიციენტის შესაბამისად რანგირებულ მაჩვენებლად განისაზღვრება. საბოლოოდ, ქულათა შეკრებით მივიღებთ სახელმწიფო ენის ფუნქციონირების დონის საერთო მაჩვენებელს.</td></tr>
<tr><td rowspan="4">ინდიკატორის მაჩვენებლები</td><td></td><td rowspan="2">საბაზისო</td><td colspan="3">სამიზნე</td></tr>
<tr><td colspan="2">შუალედური</td><td>საბოლოო</td></tr>
<tr><td>წელი</td><td>2020</td><td>2024</td><td>2028</td><td>2030</td></tr>
<tr><td>მაჩვენებელი</td><td>N/A</td><td>საბაზისო დონესთან მიმართებით გაზრდილია</td><td>საბაზისო დონესთან მიმართებით გაზრდილია</td><td>საბაზისო დონესთან მიმართებით გაზრდილია 80%-ით</td></tr>
</table>

			20%-ით	60%-ით	

ინდიკატორის დასახელება	**სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების მაჩვენებელი**						
ინდიკატორის ტიპი	გავლენის				ამოცანის შედეგის		
					+		
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 1.1. ქართული და აფხაზური ენების ფუნქციონირებისა და პოპულარიზაციის მხარდაჭერა						
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გაიზომება სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ გაცემული გათვალისწინებული რეკომენდაციების რაოდენობით.						
დადასტურების წყარო	სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მონაცემთა ბაზა; სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის წლიური ანგარიშები.						
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი						
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ორ წელში ერთხელ						
მეთოდოლოგია	ინდიკატორი გამოითვლება სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების პროცენტის შესაბამისად. კერძოდ, სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი გასცემს რეკომენდაციებს გარე აბრების, უცხოური და საქართველოს გეოგრაფიული სახელების, საკუთარი და საკუთართან გაიგივებული სახელების სწორად დაწერილობისა და სხვა სახის რეკომენდაციებს. საბაზისო მაჩვენებლად აღებულია სსიპ სახელმწიფო ენის ანგარიშის საფუძველზე ის, რომ 2020 წელს გაცემული რეკომენდაციების მხოლოდ 30% არის გათვალისწინებული. ბოლო სამი წლის განმავლობაში გაცემული რეკომენდაციების რაოდენობისა და ამ რეკომენდაციათა გათვალისწინების შეფარდებით ობიექტური, რეალისტური გათვლებით, სტრატეგიის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად, გამოთვლილია რეკომენდაციების გათვალისწინების პროგრესი, რომლის მიხედვითაც 2030 წლისათვის სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვის თვალსაზრისით, გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების მაჩვენებელი 90%-ს მიაღწევს.						
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე				
			შუალედური				საბოლოო
	წელი	2020	2022	2024	2026	2028	2030
	მაჩვენებელი	30%	40%	50%	70%	80%	90%

ინდიკატორის დასახელება	**აფხაზური ენის ფუნქციონირების დონის მაჩვენებელი**	
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
		+
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან/ ამოცანასთან	ამოცანა 1.1. ქართული და აფხაზური ენების ფუნქციონირებისა და პოპულარიზაციის მხარდაჭერა	
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორით გაიზომება აფხაზური ენის ფუნქციონირების დონის საშუალო მაჩვენებელი.	
დადასტურების წყარო	სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მონაცემთა ბაზა; სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის წლიური ანგარიშები.	
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ორ წელიწადში ერთხელ	
მეთოდოლოგია	შემუშავდება შეფასებითი დოკუმენტი, რომლის კრიტერიუმების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნება ოკუპაციის პირობები. შესაბამისად, ის შეფასებითი ინსტრუმენტი, რომელიც ქართული ენის ფუნქციონირების დონის განსაზღვრას მოემსახურება, ერთგვარად მოდიფიცირდება და მოერგება აფხაზური ენის ფუნქციონირების შეზღუდულ სფეროებს, რომლებზეც სტრატეგიის ფარგლებში გავლენის მოხდენა შეუძლია შესაბამისი აქტივობების წარმატებით შესრულებას. ექსპერტთა გადაწყვეტილებით შეირჩევა სფეროები და თითოეულს მიენიჭება კოეფიციენტი; სფეროთა შეფასებით დადგინდება ამ სფეროებში აფხაზურის ფუნქციონირების დონე. 2022 წლისათვის გამოჩნდება საბაზისო მაჩვენებელი, რომელთან მიმართებითაც შემდეგ შუალედური და საბოლოო მაჩვენებლები პროცენტულად მზარდი იქნება.	

ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე				
			შუალედური				საბოლოო
	წელი	2020	2022	2024	2026	2028	2030
	მაჩვენებელი	N/A	დადგენილია საბაზისო დონე	საბაზისო დონესთან მიმართებით გაზრდილია 10%-ით	საბაზისო დონესთან მიმართებით გაზრდილია 15%-ით	საბაზისო დონესთან მიმართებით გაზრდილია 25%-ით	საბაზისო დონესთან მიმართებით გაზრდილია 40%-ით

ინდიკატორის დასახელება	**საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ნორმების რაოდენობა**	
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
		+
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 1.2 ქართული სალიტერატურო ენის ნორმების რეგულარული განახლება და დანერგვა	
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გაზომავს სახელმწიფო ენის მართებულად ფუნქციონირების პროგრესს განახლებული და დამტკიცებული ნორმების საფუძველზე.	
დადასტურების წყარო	სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ვებგვერდი - enadep.gov.ge სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ბიულეტენი სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნის ვებგვერდი - matsne.gov.ge	
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ყოველწლიურად	
მეთოდოლოგია	ინდიკატორი გამოითვლება სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიის მიერ დადგენილი და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმების ყოველწლიური შეჯამებით. სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დაარსებიდან (2018) დღემდე დამტკიცებულია **34** ნორმა. ნორმა სხვადასხვა ტიპის შეიძლება იყოს. ამჟამად დამტკიცებული ნორმები არის როგორც ორთოგრაფიული ხასიათის, ასევე გულისხმობს სხვა ენის ბგერითი სისტემის ქართულ ენაზე გადმოცემის წესებს. თითოეული ნორმის შემუშავება და დადგენა დაკავშირებულია მეცნიერულ და ადმინისტრაციულ მუშაობასთან. დადგენილი ნორმის საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცება იქნება მზარდი და სავალდებულო ხასიათისა, 2030 წლისათვის საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული იქნება მინიმუმ **150** ნორმა. იმის გათვალისწინებით, თუ რა ტიპის აქტივობებია დაგეგმილი ამოცანის შესასრულებლად, როგორი იყო მუშაობის პროგრესი 2020 წლამდე, გამოთვლილია ნორმათა ის მინიმუმი რაოდენობა, რომელთა მომზადება, განხილვა და მთავრობის მიერ დამტკიცება რელევანტურია მითითებულ პერიოდში.	

ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე				
			შუალედური				საბოლოო
	წელი	2020	2022	2024	2026	2028	2030
	მაჩვენებელი	**34**	დამტკიცებულია მინიმუმ	დამტკიცებულია მინიმუმ **90**	დამტკიცებულია მინიმუმ **105**	დამტკიცებულია მინიმუმ **120**	დამტკიცებულია მინიმუმ **150** ნორმა

			65 ნორმა	ნორმა	ნორმა	ნორმა	

ინდიკატორის დასახელება	**ტერმინოლოგიური სტანდარტის მიხედვით დამტკიცებული ტერმინების რაოდენობა**	
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
		+
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 1.3. ქართულენოვანი ტერმინოლოგიის განვითარება	
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორით გაიზომება კანონით განსაზღვრულ და ამ პროცედურის შესაბამისად დამტკიცებულ ტერმინთა რაოდენობა	
დადასტურების წყარო	სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის წლიური ანგარიშები; სახელმწიფო ენის პორტალი.	
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ყოველწლიურად	
მეთოდოლოგია	ინდიკატორი გამოითვლება საერთაშორისო ტერმინოლოგიური სტანდარტების შესაბამისად შემუშავებულ და დამტკიცებულ ტერმინთა შეჯამებით ყოველწლიური მონაცემების საფუძველზე. „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, ტერმინები დასამტკიცებლად წარედგინება სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტს, თავის მხრივ, დეპარტამენტი განსახილველად მოამზადებს ტერმინთა სიას სახელმწიფო ენის ექსპერტთა კომისიისა და დარგის სპეციალისტებისათვის. ექსპერტები იხელმძღვანელებენ საერთაშორისო ტერმინოლოგიური სტანდარტებით, რომელთა თარგმნა და ჰარმონიზება გათვალისწინებულია სტრატეგიის ფარგლებში. 2022 წლისათვის უკვე მიღებული და დამტკიცებულია საერთაშორისო ტერმინოლოგიურ სტანდარტებზე დაფუძნებით ეროვნული სტანდარტი, ასევე დებულება, რომელიც განსაზღვრავს ტერმინთა სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტში მიღების, ტერმინების ექსპერტიზისა და შემდგომ საქართველოს მთავრობისათვის წარდგენის პროცედურებს; პასუხისმგებელ უწყებათა მიერ მოწოდებული ტერმინების რაოდენობის, ტერმინთა განხილვის გონივრული ვადისა და ექსპერტთა მუშაობის სირთულის გათვალისწინებით, მიღებულია ტერმინთა ის ოპტიმალური რაოდენობა, რომელიც შუალედურ პერიოდებში დამტკიცდება; საბოლოო სამიზნე რაოდენობა კი არის 30 000 ტერმინი, რომლებიც გამოქვეყნდება სახელმწიფო ენის პორტალსა და სპეციალურ ბიულეტენში; ტერმინთა გამოყენებას ექნება სავალდებულო ხასიათი.	

ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე				
			შუალედური				საბოლოო
	წელი	2020	2022	2024	2026	2028	2030
	მაჩვენებელი	0	2500 ტერმინი	5000 ტერმინი	10000 ტერმინი	15 000 ტერმინი	30 000 ტერმინი

ინდიკატორის დასახელება	**1+4 პროგრამის ფარგლებში ჩარიცხულ აბიტურიენტთა თანაფარდობა ბაკალავრიატდამთავრებულთა რაოდენობასთან**	
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
		+
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 1.4. ქართული ენის ფლობის დონის ამაღლების ხელშეწყობა ფორმალური და არაფორმალური განათლების ყველა დონეზე	
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორით გაიზომება, გაიზრდება თუ არა 1+4 პროგრამის ფარგლებში ჩარიცხულ აბიტურიენტთა წარმატების მაჩვენებელი ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა რაოდენობასთან შედარებით. ეს ინდიკატორი განსაზღვრავს, სინამდვილეში როგორ, რა დონეზე ფლობენ სახელმწიფო ენას არაქართულენოვან სკოლადამთავრებული საქართველოს მოქალაქეები და რამდენად შედეგიანია 1+4 პროგრამა და საშუალო საფეხურის ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა. როგორც კვლევებით ვლინდება, 1+4 პროგრამის კურსდამთავრებულების უმრავლესობა (90%) ხდება სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი. თუმცა აქედან დაახლოებით 30% ამთავრებს ბაკალავრიატს. ინდიკატორისათვის მონაცემების მოსაპოვებლად დაგეგმილია სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის კვლევა უმაღლეს სასწავლებლებთან პარტნიორობით. იკრიბება ყოველწლიური მონაცემი როგორც 1+4 პროგრამაზე ჩაბარების, ასევე შემდეგ სტუდენტის სტატუსის მოპოვების მაჩვენებელი.	
დადასტურების წყარო	სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის კვლევითი დოკუმენტი	
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ყოველწლიურად	
მეთოდოლოგია	ინდიკატორი გამოითვლება შემდეგნაირად: ხუთი წლის 1+4 პროგრამის მოსარგებლეთა რაოდენობის საშუალო არითმეტიკული შეფარდებულია შესაბამისი შემდეგი 5 წლის ბაკალავრიატდამთავრებულთა საშუალო არითმეტიკულთან. 2020 წლისათვის საბაზისო მაჩვენებელი 29.8%-ია, ხოლო სამიზნე მაჩვენებლად აღებულია 95,8%. ამ პროგრესის მიღწევა შესაძლებელია ქართული ენის სწავლების გაძლიერებით: 1. განათლების საშუალო საფეხურზე, 2. 1+4 პროგრამაზე, 3. უმაღლეს საფეხურზე.	

ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე				
			შუალედური				საბოლოო
	წელი	2020	2022	2024	2026	2028	2030
	მაჩვენებელი	29.8%	35.8%	45.8%	59.8%	75.8%	95.8%

ინდიკატორის დასახელება	**სერტიფიცირებულ საჯარო მოხელეთა რაოდენობის თანაფარდობა საჯარო მოხელეთა საერთო რაოდენობასთან**	
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
		+
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 1.4. ქართული ენის ფლობის დონის ამაღლების ხელშეწყობა ფორმალური და არაფორმალური განათლების ყველა დონეზე	
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გაზომავს ქართულ ენაში სერტიფიცირებულ საჯარო მოსამსახურეთა თანაფარდობას არასერტიფიცირებულებთან შედარებით.	
დადასტურების წყარო	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ გაცემული სერტიფიკატები	
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ყოველწლიურად	
მეთოდოლოგია	ინდიკატორით გამოითვლება ქართულ ენაში სერტიფიცირებულ საჯარო მოსამსახურეთა თანაფარდობა არასერტიფიცირებულებთან შედარებით. ამჟამად არ არსებობს ქართული ენის ფლობის ერთიანი საგამოცდო სისტემა და შესაბამისად, საჯარო მოხელეებიც (უმეტესად ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები, რომელთაც ქართულენოვანი უმაღლესი განათლება არ მიუღიათ) ვერ ადასტურებენ კანონით მოთხოვნილ სახელმწიფო ენის ფლობას. 2022 წლისათვის შემუშავდება ერთიანი საგამოცდო სისტემა, შესაბამისად ამ დროისათვის ჯერ კიდევ არ გვექნება მონაცემები, ხოლო 2024 წელს გამოცდაჩაბარებულთა რაოდენობა მიაღწევს 5%-ს, რადგანაც 2024 წელი იქნება პირველი წელი, როდესაც მონაცემების შეგროვება შესაძლებელი გახდება. პროგრესის საფუძველია დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებები და სახელმწიფო ენის ერთიანი გამოცდის სრულად ამუშავება. საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, არა მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ საჯარო მოხელეებს შეეძლებათ სახელმწიფო ენის გამოცდის ჩაბარება. 2030 წლისათვის ქართული ენის ცოდნას დაადასტურებს საჯარო მოხელეთა საერთო რაოდენობის 80%.	

ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე				
			შუალედური				საბოლოო
	წელი	20 20	2022	2024	2026	2028	**2030**
	მაჩვენებელი	N/A	0	5%	30%	60%	80%

ინდიკატორის დასახელება	**ქართული ენის ფლობის ერთიანი საგამოცდო სისტემის სხვა მოსარგებლეთა (გარდა საჯარო მოხელეებისა) რაოდენობა**						
ინდიკატორის ტიპი	გავლენის					ამოცანის შედეგის	
						+	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 1.4. ქართული ენის ფლობის დონის ამაღლების ხელშეწყობა ფორმალური და არაფორმალური განათლების ყველა დონეზე						
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორით გაიზომება სახელმწიფო ენის ერთიანი საგამოცდო სისტემის იმ მოსარგებლეთა შედეგები (საჯარო მოხელეების გარდა), რომლებსაც აქვთ სურვილი და მოტივაცია, შეამოწმონ ენის ფლობის კომპეტენცია.						
დადასტურების წყარო	სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ გაცემული სერტიფიკატების რაოდენობა.						
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო						
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ყოველწლიურად						
მეთოდოლოგია	ინდიკატორით განისაზღვრება ქართული ენის გამოცდის ჩაბარების მოსარგებლეთა რაოდენობა. პოტენციური ბენეფიციარები არიან: საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსურველნი, რომელთაც უმაღლესი განათლება უცხოეთში აქვთ მიღებული ან აპირებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებას, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სკოლის პედაგოგები, რომლებიც (გარდა ქართულისა) სხვადასხვა საგანს ასწავლიან სკოლაში, ასევე სხვა დაინტერესებული პირები. მოქალაქეობის მიღების მსურველთათვის ამჟამად მოქმედი საგამოცდო სისტემა შეიცვლება ერთიანი საგამოცდო სისტემით. საგამოცდო ტესტები მომზადდება **სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის** მიერ დონეების მიხედვით, ხოლო დონის შესაბამის სერტიფიკატს გასცემს სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი. რომლებიც გვაქვს საქართველოს მოქალაქეობის მიღების მოსურნეთა ყოველწლიური რაოდენობისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სხვადასხვა საგნის მასწავლებლების რაოდენობრივი მონაცემების საფუძველზე (მონაცემები მოგვაწოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა სახლმა) მიღებული იქნა შემდეგი სამიზნე შუალედური და საბოლოო მაჩვენებლები. 2030 წლისათვის გარდა საჯარო მოხელეებისა მინიმუმ 6000 მოსარგებლე ეყოლება სახელმწიფო ენის ერთიან გამოცდას.						
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე				
			შუალედური				საბოლოო
	წელი	2020	2022	2024	2026	2028	**2030**
	მაჩვენებელი	N/A	0	სერტიფიცირებულია მინიმუმ	სერტიფიცირებულია მინიმუმ	სერტიფიცირებულია მინიმუმ 3000	სერტიფიცირებულია მინიმუმ

				1000 ადამიანი	2000 ადამიანი	ადამიანი	6000 ადამიანი

ინდიკატორის დასახელება	**აფხაზური ენის შემსწავლელთა რაოდენობა ფორმალური და არაფორმალური განათლების ყველა საფეხურზე**						
ინდიკატორის ტიპი	გავლენის				ამოცანის შედეგის		
					+		
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 1.5. აფხაზური ენის სწავლების ხელშეწყობა						
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორით გაიზომება აფხაზური ენის პოპულარიზაციისა და სწავლების მდგომარეობის პროგრესი.						
დადასტურების წყარო	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტის მიერ შეგროვებული მონაცემების ანალიზის ანგარიში (enadep.gov.ge)						
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო						
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ყოველწლიური						
მეთოდოლოგია	ინდიკატორი გამოითვლება ფორმალური განათლების ყველა საფეხურზე აფხაზური ენის კურსის ბენეფიციართა და არაფორმალური განათლების მიმართულებით ორგანიზებული კურსების, სკოლების მოსარგებლეთა რაოდენობის შეკრებით.						
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე				
			შუალედური				საბოლოო
	წელი	2020	2022	2024	2026	2028	2030
	მაჩვენებელი	170	200	250	300	350	500

ინდიკატორის დასახელება	**საქართველოში მოქმედი სამეცნიერო ფონდების მიერ მითითებულ რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალებში გამოქვეყნებული ქართველოლოგიური და აფხაზოლოგიური პუბლიკაციების რაოდენობა, რომლებიც გამოქვეყნდა სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული კვლევების ფარგლებში**

ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
		+

ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 1.6. ქართველური ენებისა და აფხაზურის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორით გაიზომება ლინგვისტიკის მიმართულებით იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა.
დადასტურების წყარო	სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ანგარიში; საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის კატალოგი.
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ორ წელში ერთხელ
მეთოდოლოგია	საქართველოში სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნება, ძირითადად, უკავშირდება ეროვნული ფონდების დაფინანსებას (თუმცა გამოქვეყნება დამოუკიდებლადაც შესაძლებელია), სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი სსიპ სახელმწიფო ენის დეპარტამენტთან ერთად გამოაცხადებს მიზნობრივ კონკურსებს სტრატეგიის ამოცანების შესასრულებლად. ასევე, ფონდის მიერ დაფინანსებული ყველა პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს კრიტერიუმს — იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნებას. ინდიკატორი გამოითვლება ყოველ ორ წელში საწყის რაოდენობაზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობის დამატებით.

ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე				
			შუალედური				საბოლოო
	წელი	2010-2020	2022	2024	2026	2028	**2030**
	მაჩვენებელი	50	დამატებით 2	დამატებით 5	დამატებით 15	დამატებით 20	დამატებით 50

ინდიკატორის დასახელება	**სამეცნიერო ჟურნალების რანჟირების პორტალზე (SJR) აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რანჟირების მაჩვენებელი**						
ინდიკატორის ტიპი	გავლენის				ამოცანის შედეგის		
					+		
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 1.6. ქართველური ენებისა და აფხაზურის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა						
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორით გაიზომება ლინგვისტიკის მიმართულებით საქართველოს სახელით გამოქვეყნებული სამეცნიერო პროდუქტის რაოდენობის ზრდა SJR-ის რანჟირების სისტემაში.						
დადასტურების წყარო	SJR-ის ვებგვერდი - https://www.scimagojr.com/journalrank.php						
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი						
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ორ წელში ერთხელ						
მეთოდოლოგია	ინდიკატორის განსასაზღვრად აღებული იქნება ელსევიერის რანჟირების სისტემა, რომელსაც ეფუძნება სამეცნიერო ჟურნალების რანგირების პორტალი და რომელზეც ყოველწლიურად ქვეყნდება სამეცნიერო დარგების მიხედვით ქვეყნების ბიბლიომეტრიული მონაცემების რეიტინგი.						
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე				
			შუალედური				საბოლოო
	წელი	2020	2022	2024	2026	2028	**2030**
	მაჩვენებელი	მე-18 ადგილი	გაუმჯობესებულია მინიმუმ 1 საფეხურით	გაუმჯობესებულია მინიმუმ 2 საფეხურით	გაუმჯობესებულია მინიმუმ 3 საფეხურით	გაუმჯობესებულია მინიმუმ 4 საფეხურით	საქართველო შესულია აღმოსავლეთი ევროპის რანგირების ათეულში

ინდიკატორის დასახელება	**ქართული ენობრივი ტექნოლოგიების დონე საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით**	
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
		+
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 1.6. ქართველური ენებისა და აფხაზურის ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა	
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორით გაიზომება ქართული ენობრივი ტექნოლოგიების დონე მრავალენოვანი ევროპის ტექნოლოგიების ალიანსის კავშირის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით.	
დადასტურების წყარო	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტის კვლევითი დოკუმენტი	
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	სსიპ - სახელმწიფო ენის დეპარტამენტი	
მონაცემების შეგროვების სიხშირე	ორ წელში ერთხელ	
მეთოდოლოგია	ინდიკატორი გამოითვლება მრავალენოვანი ევროპის ტექნოლოგიების ალიანსის კავშირის სტანდარტის მიხედვით, რომლის თანახმადაც ენის ტექნოლოგიური განვითარების მხარდაჭერა ფასდება ოთხ განსხვავებულ სფეროში ხუთბალიანი სისტემით: 1 - საუკეთესო მხარდაჭერა; 2 - კარგი მხარდაჭერა; 3 - საშუალო მხარდაჭერა; 4 - ფრაგმენტული მხარდაჭერა; 5 - სუსტი ან არანაირი მხარდაჭერა. ენობრივი ტექნოლოგიების განვითარება იზომება ოთხი მიმართულების ანალიზით, კერძოდ: 1. მანქანური თარგმანი – არსებული ტექნოლოგიების ხარისხი, ენობრივი წყვილების რაოდენობა, რომელთაც ფარავს მანქანური თარგმანი, ლინგვისტური სფეროებისა და მახასიათებლების დაფარვა, პარალელური კორპუსების ზომა და ხარისხი, აპლიკაციათა რაოდენობა და ნაირგვარობა; 2. მეტყველების დამუშავება: მეტყველების ამოცნობისა და სინთეზის არსებული ტექნოლოგიების ხარისხი, სფეროთა დაფარვის დონე, არსებული კორპუსების რაოდენობა და ზომა, ხელმისაწვდომი აპლიკაციების ნაირგვარობა და რაოდენობა; 3. ტექსტის ანალიზი: არსებული ტექნოლოგიების (მორფოლოგია, სინტაქსი, სემანტიკა) დაფარვის მასშტაბი და ხარისხი, ენობრივი თავისებურებებისა და სფეროების დაფარვა, ხელმისაწვდომ აპლიკაციათა რაოდენობა და ნაირგვარობა, ანოტირებული	

<table>
<tr><td></td><td>კორპუსების ზომა და ხარისხი, გრამატიკებისა და ლექსიკური რესურსების ხარისხი და დაფარვა;

4. რესურსები: ზეპირი მეტყველების, ტექსტური და პარალელური კორპუსების ზომა/ხარისხი, გრამატიკებისა და ლექსიკური რესურსების დაფარვა/ხარისხი.

თითოეული მიმართულება ფასდება ზემოაღნიშნული 5 ბალიანი სისტემით.
კრიტერიუმებში კი გამოყოფენ: ხელმისაწვდომობა, ხარისხი, დაფარვა, მდგრადობა, სისრულე, ადაპტირების უნარი.
კრიტერიუმებისა და შეფასების სისტემის გათვალისწინებით, ქართული ენობრივი ტექნოლოგიების მხარდაჭერის საბაზისო მაჩვენებლად განისაზღვრა ზოგადად – სუსტი ყველა მიმართულებით. 2024 წლისათვის ერთი დონით აწევა ივარაუდება, 2026-ში შენარჩუნდება პროგრესი, 2028 წელს დაგეგმილია, რომ მხარდაჭერა ერთი ნიშნულით გაუმჯობესდეს, ხოლო საბოლოო სამიზნედ ნაგულისხმებია კარგი მაჩვენებლის მიღება.</td></tr>
<tr><td rowspan="3">ინდიკატორის მაჩვენებლები</td><td></td><td rowspan="2">საბაზისო</td><td colspan="5">სამიზნე</td></tr>
<tr><td></td><td colspan="4">შუალედური</td><td>საბოლოო</td></tr>
<tr><td>წელი</td><td>2020</td><td>2022</td><td>2024</td><td>2026</td><td>2028</td><td>2030</td></tr>
<tr><td></td><td>მაჩვენებელი</td><td>სუსტი</td><td>სუსტი</td><td>ფრაგმენტული</td><td>ფრაგმენტული</td><td>საშუალო</td><td>კარგი</td></tr>
</table>